

86-ე წუთზე

ლენინგრადი. ს. კიროვის სახელობის სტადიონი. 18 აპრილი.

“ზენიტი” (ლენინგრადი) – “დინამო” (თბილისი) 1:0 (0:0).

“ზენიტი”: ოლეინიკი, დავიდოვი, გოლუბევი, ლოხოვი, დეკტერევი, სტრეპეტოვი, ბულაგინი, ბელოვი, რედკოუსი (მარკინი), ხრომჩენკოვი, გრებენოჟკო (პოლიაკოვი).

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, ჭელიძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ძოძუაშვილი, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ჩელებაძე (წერეთელი), დარასელია.

მსაჯი: ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები – 0:1.

ლენინგრადელი ფეხბურთელები პირველ ორ ტურში ზედიზედ განცდილი მარცხის შემდეგ შინ ხელცარიელი დაბრუნდნენ და, თუმცა, ორივე შემთხვევაში წაგება მინიმალური იყო, ეს საქმეს არაფრით შველოდა: გათამაშების ცხრილში მათ 0 ეწერათ.

თბილისელებს სატურნირო საქმეები გაცილებით უკეთ ჰქონდათ, ამასთან ცენტრალურ პრესაში გამოქვეყნებული მასალებით ვიცოდით, რომ გუნდი შარშანდელთან შედარებით ბევრად უფრო მობილიზებულად და ენერგიულად თამაშობს. ყველაფერი ეს საინტერესო ბრძოლას ჰპირდებოდა ლენინგრადელ მაყურებელს.

სტადიონზე მოსული გულშემატკივრები მოტყუებული არ დარჩენილან. სტუმრები, მართლაც, მონდომებით, სწრაფად, სახიფათოდ თამაშობდნენ, ხშირად ქმნიდნენ კრიტიკულ მომენტებს და პირველ ტაიმში რამდენიმე შესაძლებლობა ჰქონდათ წარმატებისა. “ზენიტი” უპირველეს ყოვლისა თავის მეკარე ოლეინიკს უნდა უმაღლოდეს, რომ ტაიმს “მშრალად” დააღწია თავი. საუკეთესო მოთამაშისთვის დანესებული პრიზიცი სწორედ მეკარეს ხვდა წილად.

ვინ იყო ყველაზე შესამჩნევი დინამოელთა შორის? უდავოდ, გუცაევი, რომელიც მოსვენებას არ აძლევდა მოპირდაპირე დაცვას, ხშირად გადიოდა თავის ფლანგზე, კარგად აწვდიდა ცენტრში და ოლეინიკი რომ არა, მე-18 წუთზე საკუთრივ შეეძლო გაეტანა გოლი. გუცაევის თამაშიც სპეციალური პრიზით აღინიშნა.

პირველი ტაიმის განმავლობაში მეტოქეებს არ შეუწელებიათ ტემპი, ორივე მხარე მოქმედებდა სწრაფად, “უპაუზოდ”, ხშირი იერიშებით.

შესვენების შემდეგ დინამოელები ერთხანს კვლავ აქტიურად უტევდნენ და იერიშებში მათი ნახევარმცველებიც მონაწილეობდნენ. შემდგომ თამაშმა შუა მინდორში გადაინაცვლა, სადაც პოზიციური ბრძოლა მიმდინარეობდა. “ზენიტის” რიგებში კარგად ჩაერთო ახალგაზრდა პოლიაკოვი, რომელმაც დიდი დახმარება გაუწია დაღლილ პარტნიორებს.

როცა მატჩის დამთავრებამდე ათიოდე წუთი იყო დარჩენილი, შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს მოწინააღმდეგეები მშვიდობიანად გაშორდებოდნენ ერთმანეთს, მაგრამ აი, 86-ე წუთზე თბილისელები თავიანთი საჭარბო მოედნის ხაზიდან 7-8 მეტრის დაშორებით დაჯარიმდნენ. ბელოვმა ბურთი გაუგორა გოლუბევს, დინამოელთა კედელი დაირღვა და მასპინძელთა ცენტრალური მცველის უძლიერესმა დარტყმამ ძელს მოხვედრის მერე, მიზანს მიაღწია – 1:0.

ამის შემდეგ კარგად გათამაშდა ქორიძე-მაჩაიძის კომბინაცია, მაგრამ ლენინგრადელთა მცველებმა ბოლო წამს მიუსწრეს ბურთს. “ზენიტმა” პირველად გაიმარჯვა, “დინამო” პირველად დამარცხდა.

გ. ორლოვი. (ტელეფონით, ჩვენი კორ.).

“ლელო”, 20 აპრილი, 1976 წ.